ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4157148

ნომერი: AR1627582

თარიღი : 31.08.2018

გაცემის თარიღი : 07.09.2018

გაცნობის თარიღი : 07.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ელგუჯა ამაშუკელი , N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სულხან მარჯანიშვილი პ/ნ 60401161211
- ქუთაისი შ.რუსთაველის გამზ. N 114 ბ. 4

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. იმეჯინ გრუპ კოდი: 412737971

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურის შესაძლებლად არ მიაჩნია ფასადზე მსგავსი გააბრიტების სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება, მით უმეტეს, რომ იფარება არსებული ფრამუგები. შესაძლებელია მოეწყოს მაქსიმალურად მცირე გაბარიტული ზომის სარეკლამო კონსტრუქცია და აღნიშნული განთავსდეს ღიობების გადაფარვის გარეშე.

შესაბამისად წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა გაბარიტული ზომის მითითებით.

გარდა ამისა:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი.

2. "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა -> ..მესაკუთრეთა თანხმობის pdf ფაილი" - ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშაოებით დაინტერესებული პირი (შპს "იმეჯინ გრუპი") არ არის ამხანაგობის წევრი, წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 100% და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 100% .

3. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება -> ..მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი" - თქვენს მიერ ატვირთულია ძველი საკადასტრო გეგმა. წარმოადგინეთ საჯარო რეესტრში უკვე დარეგისტრირებული ახალი საკადასტრო გეგმა, საპროექტო ადგილის მონიშვნით (რეგ. ნომერი # 882009412071 23.12.09 წ.)

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.